21/04/2026

MES 1 26 0000458795

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 03.04.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:10
სხდომის დამთავრების დრო: 14:40
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **დავით კაპანაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
5. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
6. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **ციური დურული -** სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
10. **ვლადიმერ ადეიშვილი -** სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. **ნარგულ ასანიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ქრისტინე ახალაძე -** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლია ხარებავა - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს უნივერსიტეტი გეომედი:

მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ზურაბ ცეცხლაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
დიმიტრი კობახიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტი:

თამაზ უზუნაშვილი (I და II საკითხები).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს დამატებით განეხილა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შემდეგი შუამდგომლობები:

- "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571180 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1570039 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №851523 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის №424000 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

- "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის №424004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №224606 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დამატებით განეხილა ზემოღნიშნულ გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში ცვლილებების შეტანის საკითხები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
4. „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1570039 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
6. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №851523 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №424000 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №424004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
9. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №224606 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის მენეჯმენტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

მეორე საკითხი: შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჯანდაცვის მენეჯმენტი;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• **არა**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მ ა ს ა ლ ე ბ ს .
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

იმის გათვალისწინებით რომ შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ორივე ანგარიში განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

პირველი და მეორე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა თამაზ უზუნაშვილმა, აღნიშნა რომ დაწესებულებამ "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია და რჩევა შეასრულა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს თანამშრომლობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ მას თავიდან ჰქონდა კითხვა ერასმუსის გაცვლით პროგრამასთან დაკავშირებით თუმცა, ექსპერტმა თავადვე უპასუხა ამ შეკითხვას, როდესაც მან ეს საკითხი სტუდენტების რაოდენობის კორელაციასთან მიმართებით განიხილა. მან ასევე კითხვით მიმართა დაწესებულებას შუალედურ და დასკვნით გამოცდებთან დაკავშირებით - მისი თქმით, როგორც რეკომენდაციაში იყო აღნიშნული, დავალება უფრო მეტად უნდა ყოფილიყო მიმართული სტუდენტების ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე, ის დაინტერესდა, კონკრეტულად აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, რა ცვლილებები განახორციელა დაწესებულებამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშავე ჯგუფმა სასწავლო კურსებში ასახეს შეფასების სიეთი ფორმატი, რომელიც გამოუმუშავებს სტუდენტს ტრანსფერულ და ანალიტიკურ უნარებს. სასწავლო კურსების განმახორციელებლებმა წარმოადგინეს სახეშეცვლილი სილაბუსები, განახლებული შეფასების ფორმატებით, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულების სახით, ეს სასწავლო კურსებია: "ჯანდაცვის ობიექტების ფინანსური მენეჯმენტი", "ადამიანური კაპიტალის მართვა", "მენეჯმენტის თანამედროვე მოდელები", "პრაქტიკაზე ორიენტირებული სტრატეგიული მენეჯმენტი", "ლიდერობა", "გლობალური ჯანდაცვა", "ჯანდაცვის სისტემის რეფორმარტ პოლიტიკა და პროექტის მენეჯმენტი". აღნიშნული ცვლილება შევიდა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:23

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს უნივერსიტეტ გეომედის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მესამე საკითხი: „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეხუთე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1570039 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეექვსე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №851523 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• კი

თვითაცილება განაცხადეს ბონდო გასვიანმა და ირინა ლობჟანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საკითხის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობები განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს საბჭოსთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრ), სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" და "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, არასწორად არის გაცემული შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის

მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით". დაწესებულების მოსაზრებით, აღნიშნული რეკომენდაცია მიემართება მხოლოდ "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას და არა საბაკალავრო საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამებს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" და "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ჩაიწერა "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ", საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №912686 და "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №912686 გადაწყვეტილებებში, ხოლო მანამდე, „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571165 და „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებებში, აღნიშნული რეკომენდაცია მოცემული იყო სხვა ფორმულირებით - "რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით რომელიც დაკავშირებული იყო თარგმანთან".
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში შევიდეს ცვლილებები და დაკორექტირდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" და "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით განსაზღვრული რეკომენდაციების ჩამონათვალი.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 3 აპრილის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 -ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2024 წლის 6 დეკემბრის №1571165 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 3 აპრილის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2024 წლის 6 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1570039 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 3 აპრილის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 6 დეკემბრის №1570039 სხდომის ოქმის 01 ნაწილში, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" და "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:
„ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

„ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით;

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №851523 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 3 აპრილის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2025 წლის 8 ივლისის №851523 სხდომის ოქმის 08 და 09 ნაწილში შევიდეს ცვლილება და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" და "ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:

„ფინანსების (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

„ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით;

- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

მეშვიდე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №424000 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
მერვე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №424004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
მეცხრე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 მარტის №224606 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს საბჭოსთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრში, ელექტრონული ელფოსტით წარმოდგენილ იქნა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომლითაც ითხოვენ "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანას, რომელიც ეხება გარკვეული რეკომენდაციების გადახედვას. ცენტრის თანამშრომელმა ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს მასალების ფოლდერში ატვირთულია დაწესებულების ელექტრონული წერილი სადაც მოცემულია ინფორმაცია უფრო დეტალურად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ცვლილებებთან დაკავშირებით ზოგადია, ასევე მათ სჭირდებათ დრო, რომ კარგად გაერკვნენ კონკრეტულად რა რეკომენდაციებს ეხება ცვლილება და რა ფარგლებში. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ კი შუამდგომლობას წარადგენს თვითონ დაწესებულება და დეტალურად მიაწვდის საბჭოს ინფორმაციას. შესაბამისად, სხდომის

თავმჯდომარემ ცენტრს სთხოვა საკითხების განხილვა ჩაენიშნა სხვა სხდომაზე და უზრუნველყო, როგორც დაწესებულების ჩართვა, ისე საბჭოსთვის საქმის მასალების წინასწარი მოწოდება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 3 აპრილის 14:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან